

1941.

საქართველო  
საბჭოთა კომისარიატი



# ვითონერთი

XX



1941 წ. თებერვალი  
გამაცხადობა „კომისარიატი“

Nº 2



საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდიგარი — ამხ კ. ნ. ჩირქევიანი, საქ. სახელმწიფოს თავმჯდომარე — ამხ. ვ. მ. ბაქრაძე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ამხ. ვ. ე. მახარაძე

## ოცი წელია

ოცი წელია საქართველო ჰყვავის მზესავით,  
ოცი წელია მზე ამოდის ხვავის მთესავი,  
ოცი წელია დგას ნაპირზე სალი კლდესავით,  
ოცი წელია სჭედს მომავალს ხვალის დღესავით!

ოცი წელია ამირანი ადგა ზეიადი,  
ოცი წელია ხალხს ახარა მან ხმა დადი,  
ოცი წელია გაზაფხულდა, გაპქრა წყვდიადი,  
ოცი წელია ჩემს მამულში დგას განთიადი!

ოცი წელია წინ მიგიშევთ შვების ალამით,  
ოცი წელია ვიგერიეთ მტრების ძალა მით,  
ოცი წელია დიდ თებერვალს ვწვდები სალამით,  
ოცი წელია მას გუმბღერი ჩემის გალამით!



## ხარობს სამშობლო ბელადის

ხარობს სამშობლო ბელადის  
 ზურმოხტოვანი ველებით,  
 მიწით, ბალებით, ტყეებით,  
 ცად აზიდული სერებით.  
 ყველგან ხალისი ჩამდგარა,  
 ლხინია დაულეველი,  
 განახლებულა ქვეყანა  
 მრავალი ტანჯვის მძლეველი.  
 დღეს აქ სხვადასხვა ერები  
 ლმაზ სიცოცხლეს ეტრფიან,  
 ყველას ერთი აქვს სამშობლო,  
 ყველას სურვილი ერთია:  
 ყვაოდეს გმირთა ქვეყანა  
 კიდით-კიდემდის, სერამდის,  
 და დღეგრძელობდეს მარადებამს  
 ჩვენი ძვირფასი ბელადი!

## ჩემი ზეცა თვალს რომ ახედს

ჩემი ზეცა თვალს რომ ახელა,  
 როცა ვარდის ფერი აქვა,  
 ლაპატარებში მოჭახახა  
 ფრინველებში მღერიან:  
 „საჭართველოს სიმინება—  
 ღორგერებობა მეტადას!“


მჭვერი ლერს ადაში ჩასახ,  
 გულს აუნთთ საკატე,  
 ჩამოსწევიც სხივი ვარსკვალას,  
 დაფურვია ნამიტებს,  
 არ უმცურუნა თავის ნათევაში,  
 შელადთან დანაპირებს!

საჭართველოს გიგანტებში  
 ჩემი მომართები მოსაფრა,  
 აცრებლებულ ხრისებში  
 ბრზანი ჰყინა ნოსადა  
 და მილიონ მშრომელთ მსრუბში  
 ციდუხაწირ მოხადა.

დაულოცოს საჭართველოს  
 ბერნიარი შაილები,  
 კაცვაში მშე ადიადოს,  
 მოსპოს მცირე ჩრდილებიც,  
 დაულოცოს, მრავლად ჰიატის  
 ასე ხელგაშლილები!

შალვა ბაქიძე.





# ეს გაზაფხული...

## აღ. პეჩაშვილი

თვალგაზელისას სამშობლოს ღიმილი ვიცან,  
როგორც ბედნიერ ვარსკვლავების კრემლშე ციალი.  
წამოვიზარდე—მადლიანი ქართული მიწა  
დჟდამიწაზე უკვდავებად ბრწყინავს მზიანი.

გახედეთ, ერთი, დახატული ქართული ზეცა,  
მამული ჩვენი, ასიათას აბევანაზული,  
როგორ დაჟლაჟებს... გმირთა გულებს, ბუჩქსა და ხესაც  
როგორ ახარებს და ათრთოლებს ეს გაზაფხული!

გახსოვთ? კეცხველს არ აღირსა ტყვიაშ დანდობა  
და ცივ მეტებში წააჩიქეს მკერდგადაშლილი,  
ოქელაშვილი თრიალეთში დანავარდობდა,  
სახრჩობელაზე ადიოდა ჯორჯიაშვილი.

მოგბი დამდგარან ცად აწედილნი, ნისლებადაყრილნი:  
დღენი ზამთრულად, დათალებულად აღარ გადისო,  
ჯულაშვილის და რუსთაველის მშობელს აპრილის  
გარდის ფურცლობა დაუმკვიდრდა სამარადისოდ!

და რაისთვისაც მათ ცხოვრებამ ჯვარცმა აჩვენა  
და რა საქმესაც შეეწირნენ ეს რაზანია,  
მზედწამომდგარი ჯულაშვილის რკინის მარჯვენას  
სამარადულოდ ხალისათვის მოუტანია.

სად გაგონილა მოციმციმე სხვა გაზაფხული,  
ვით საბჭოეთში, სად სტალინის ბრწყინავს გრია...  
შემომცინიან ნარინჯებიც, ვაზნიც კაზური,  
და მეც ბედნიერ ლიმის მეტი რა დამრჩენია!

კავკასიონი უზარმაზარ დევის ტანივით  
დგას და იგონებს დარბეულთა ცრემლის დინებას,  
და ალაზანიც ჯაჭვაშეცვეტილ ამირანივით  
მორბის, მოიმღერს საქართველოს აღორძინებას.



# გონდურაშვილის ოჯახში

(ნაწყვეტი მოთხოვიდან „ხკოლასა და ოჯახში“)

ციოდა, თოვლის სქელი ფანტელები ცვი-  
ოდა დედამიწაზე. ქალაქში გუშინ საღამოდან  
სიჩურე იყო. ხოლო დღეს გაისმოდა რუსთა-  
ველის პროსპექტიდან ცხენების თქარათქური.

ამკინავ დავით გონდურაშვილის მოხუცე-  
ბული დედმამა სარდაფის ნესტიან ოთახში  
რკინის ჩამქრალ ღუმელთან მიყუელიყო. ღუ-  
მელის პირდაპირ კედელთან ტახტზე იწვა გო-  
ნდურაშვილის ავადმყოფი ცოლი. კვერსოდა  
და დროდადრო თხრავდა.

— ბატონო, არ მოვიდნენ ილიკო და და-  
ვითი? — თქვა მან ბოლოს.

— არა, შვილო, — მიუგო დავითს დედამ  
ჩიფჩიფით.

— ვაითუ დაიჭირეს და მოკლეს ბაგშვიანა!  
შვილი ილიკო, რატომ გაგიშვი მე უბედურმა!  
შეიტირა ავადმყოფმა.

— უმანკო ბალდ რას ერჩიან, შვილო ეს-  
მა? — მოთქმითვე მიუტირა მოხუცმა.

— რა ვიკი, რა ვიკი, ყველას კლავენო.  
ხალხი, ვისაც შეეძლო, გაიკრიფა. შენ თვითონ  
ამბობდი, ჩვენ სახლში აღარავინ დარჩაო. ამ  
ბაღნებს რა ვუკო, — თქვა მან და მასთან მიხუ-  
ტებულ ორ პატარას საბანი გადააფარა.

— ჩვენი სახლი კი არა, დედიკო, მთელ  
ქაზაზე სახლები სულ დაიცალა. ყველა გაიქცა  
გუშინ და ზოგიც ლამზ წასულა! — წარმოთქვა  
რვა-ცხრა წლის თმაგაბურძენულმა გოგონამ,  
რომელიც მოხუცებულ პაპასთან ჩაცუცქული-  
ყო და მისი ძეველი ნაბდის კალთაში გახვე-  
ულიყო.

— ეჲ, მართლა, ბაბუა, აბა მოძებნე, ბაბუა,  
ეგება რამე ნაპერწკალი ნახო, იქნება მოუკი-  
დო ამ ჩიბუხს... შიგ კი არაფერია, მაგრამ  
იქნება ჩარჩა რამე ძირში...

გოგონა ეცა ღუმელს, გაქექა, მაგრამ რაც  
არ იყო, რას ნახავდა.

— ვაიმე, რაღა ვქნა, ავდგები ისევ, წავალ და  
საღმე მოვქებნი, — წამოიწია ასადგომად, მა-  
გრამ ისევ მოწყვეტით დაეცა ლოგინზე ტკი-  
ვილებისაგან ავადმყოფი.

მოხუცებულები, რაც შეეძლოთ, სწრაფად  
წამოღნენ, ირივე წელში მოხრილიყო და კან-  
კალებდნენ. ბავშვებმა ტირილი ატეხეს.

ამ დროს კარი გაილო და ოთახში თვითონ და-  
ვით გონდურაშვილი შემოვიდა. გონდურაშვილი  
ოცდათოთხმეტი წლის კაცი იქნებოდა. ძველი,  
დაკერებული შარგალი და პიჯაკი ეცვა, ფე-  
ხებზე ძველი, დაგლეჯილი კალოშები კანაფით  
ჰქონდა აკრული. უკან პატარა თერთმეტ-თო-  
რმეტი წლის თავშალწამოხურული ილიკო  
შემოჰყა. გონდურაშვილმა თოვლის გაბერ-  
ტყვაც კი ვერ მოასწრო, ცოლის ლოგინს მი-  
აშურა.

— რა ამბავია? რა მოხდა? — დაიყვირა მან.

— კვდება, შვილო, ქალი, კვდება!

— წყალი, ბიჭო, ილიკო, წყალი! — დაი-  
ძახა გონდურაშვილმა, გასწია აქეთ-იქით დედ-  
მამა და ასწია ესმა.

— აპა, დაღიე, ესმა, წყალი...

როდესაც გონს მოვიდა ესმა და დაინახა  
დავითი და შვილი, თვალცრემლიანმა და აცა-  
ცახებულმა გალურჯებული ბაგებით ჩურჩუ-  
ლით წარმოთქვა:

— ცოცხლები დაბრუნდით? თუ გნახავდით,  
ალარ მეგონა მე უბედურს.

— აბა, ბიჭო, ილიკო, შეაყარე რამე ფეჩ-  
ში, — უთხრა შვილი მამამ.

— რა შევაყარო, მამა, რაც არაფერია.

— ეჲ, ბიჭო, საკინძავი დაზგა დამტვრიე.  
მაინც მიაქვთ ბოლშევიკებს ყველაფერიო...

— ვაიმე, თუ გადავრჩით და არ წაიღეს,  
რით ვიცხოვროთ, ბიჭო? — თქვა მოხუცმა და  
ხელი მოჰკიდა დაზგას.

შოთუცი თვითონ ამკინდავი იყო, ამ დაზებაზე მუშაობდა ამ ოთახში. შვილი ამ ხელობაზე გაზარდა და დაზება არ ემეტებოდა დასაწვავად.

— შემოვიდნენ უქვე, ხსნა ალარ გვიწერია?

— წარმოთქვა სასოწარკვეთილებით ავალ-მყოფმა.

— ჯერ ცენოსანი ჯარი მოდის, გესმის თქარათქური?

— ოჟ, რომ იცოდე, დედა, იმდენი მოდიან, იმდენი... აუარებელი, ისეთი ცენები ჰყავთ, იცი, ბაბუა, — მოუბრუნდა უცებ პაპას, — ჩვენ სადგურში ვიყავით. იმდენი ხალხი წავიდა, იმდენი, მატარებელი სავსე იყო შიგნით და მაღლა სახურავზეც, ისეთი ხმაურობა და აურზაური იყო; ყველა ცდილობდა მატარებელში აძრობას. ერთი მატარებელი წავიდა, მეორე მოაყენეს, იგიც უცებ გაიგო, სახურავიც... ჩვენი მეზობლები, ზევით სართულში რომ ცხოვრობენ, მდიდრები ყველა იქ იყო, კალისტრატეც იქ იყო, მაღლა იჯდა და დაგვიძახა: ამოდით ჩეარა რამენაირად, აქ დაგაჯენთო, თორემ ცუდი დღე დაგადგებათო, მაგრამ მამამ დაუძახა: რაც ჩემ ოჯახს მოუვა, მეც ის მომივიდესო. მეც აქ მინდოდა, დედიკო, დარჩენა, — მიუბრუნდა ილიკო დედას, დაიხარა და მოეხვია.

დავითს, ეტყობოდა, ეამა შვილის სიტყვები, თავზე ხელი გადაუსვა და მიმართა მამას:

— მამი, არა უშავს, თუ გადავრჩით, დაზგას ვიშვვი, როგორც იქნება. სამუშაო მაინც არ არის, მთელი წელიწადი უსაქმოდ ვიყავით.

— დაწვით, დაწვით! — წარმოთქვა ტირილით ესმამ. — სულერთია, არაფერს შეგვარჩენენ. არ გახსოვს, იმ დღეს მიტინგზე რას ამბობდა პროპაგანდისტი? წითელი არმია რომ მოვა, უკან ბრძო მოჰყვება და ყველას და ყველაფერს აიკლებენ და დაწვავენ.

— მშია, დედა, — ატირდა უცებ ხუთი წლის გოგონა, — შენ რომ თქვი მამა მოიტანსო, სად არის?

— რა ვქნა, ფულიც რომ იჭროს ასელა ჩას იშოვი, თორებ გავყიდდი ამ პიჯაკს. ქალაქი დაცარიელებულია, დუქნები დაკეტილია, არ-სად არაფერი ჩანს, — თქვა მწარედ დავითომა

— ჩვენი ჯარი სადაა, ბიჭო? — იკითხა მოუცმა და ცარიელი ჩიბუხი, პირში რომ ჰქონდა, გამოილო.

— რას ამბობ, ჩვენი ჯარი გუშინვე წავიდა. მთელი ღამე მიდიოდა თურმე მატარებლით ნავთლულიდან... ვინც დარჩა, ამ სადგურიდან წავიდა. სადგურზე სოლომანა ვნახე და ისიც გაიქცა...


— მთავრობაც გაიქცა, ჯარიც, და ჩვენ დაგვტოვეს ასე უპატრონოდ?! — ჩაიქნია ხელი მოხუცმა.

— დაგვტოვეს...

— დატეხე დაზგა, შვილო ილიკო, შეყარეცხლში, — უთხრა მოხუცმა შვილიშვილს და არგა.

— თუ გენანება, იყოს, მამი.

— არა, შვილო დავით, არ მენანება, მე ის მენანება, რომ... დაჩუმდი, ბაბუა, — მიმართა მან ატირებულ გოგონას, — მენშევიკები გაიქ-



ცნენ, შოვლენ აგერ ბოლშევიკები, ან დაგ-  
ვხოცავნ, ან გვაჭმევნ რამეს...

— დავითს მწარედ გაელიმა:

— ვინ იცის, მამი, ყველაფერი შესაძლე-  
ბელია, — თქვა მან და აიღო დაზგა დასაჭრე-  
ლად.

კარი ჭრიალით გაიღო. ცივი ქარი შემო-  
იჭრა და ყველამ შეშფოთებით მიიხედა.

კარებში იდგა გამხდარი კაცი. მას წითელ-  
არმიელის მაზარა ეცვა. უკან ორი თუ საპი წი-  
თელარმიელი მოჰყვებოდა.

— ოჲ, აქ ცხოვრობს ვინმე? — თქვა შემო-  
სულმა კაცმა.

— დიალ, მე ვცხოვრობ, ჩემი ოჯახით,  
— მიუგო დავითმა, გააგდო ხელიდან დაზგა და  
წაიწია მოსულისაკენ. — რა გნებავთ? — და ნა-  
ჯახი ხელში მოიმარჯვა.

— ამ სახლს ვათვალიერებდით, ამხანავო,  
და რადგანაც ზევითა სართულში არავინ ცხო-  
ვრობს, მეგონა აქაც... დაიცა! — შესძახა მან  
უცებ. — შენ... შენ... დავით გონდურაშვილი....

— სერგო! — შეჰყვირა დავითმა გაკვირვე-  
ბით, ნაჯახი ხელიდან გააგდო და მივარდა  
მოსულს... მაგრამ უცებ შედგა.

— სერგო! მართლა ჩენ ამოსაწყვეტად  
მოხვედით? მაშინ...

— ძია, ყველაფერი უნდა წაგვართვა? —  
გაუჩერდა წინ უფროსი გოგონა.

შეზინებული მოხუცები წამოდვნენ, პატარა  
ბავშვები მიეკრენ ავალმყოფ დედას, ილიკო  
კი გაფართოებული თვალებით შეცექროდა  
სტუმარს. სერგომ გოგონას თავზე ხელი გა-  
დაუსვა და თავის ქნევით მიმართა დავითს:

— შენ, შენ ამბობ ამას, ამხანავო დავით? აბა, იფიქრე, განა შეგვეძლო მე ან ჩემ ამხანა-  
გებს თქვენ ამოსაწყვეტად მოსულა, თქვენ ასა-  
კლებად? მე და შენ ხომ მთელი ნახევარი წე-  
ლიწადი ერთად ვისხედით ციხეში. რამდენი  
გვიბაასნია ერთად და როგორ დაუშვი, რომ მე  
მოვიდოდი...

სერგო და დავითი ერთმანეთს გადაეცივ-  
ნენ და ერთი წუთის შემდეგ ორივენი ისხდნენ  
და მევობრულად ბასობდნენ.

— ერთი წელიწადი სამუშაო აღარაფერი  
მაქვს, — ამბობდა დავითი, — დიდ გასაჭირში

ჩავვარდი, ჩემი ხელობა აღარ იყო საჭირო;  
სტამბა, სადაც ვმუშაობდი, დაიკეტა, წიგნები  
აღარ იბეჭდებოდა. ამ ბოლო დროს ჯარშიაც  
გამიწვიეს. ოთახი ნესტიანი, ცოლი აფაზმუ-  
ფი, წერილი ბავშვები ტიტოლები...

— იცი რა? — თქვა სერგომ, — ჩენ შენი-  
სთანა ხელოსნები გვჭირდება, მოგვიწყე სტამ-  
ბაში სამკინძაო სახელოსნო და...

მან დაუძახა ერთ წითელარმიელს და უთ-  
ხრა: — აი იმ ორ ოთახში, აქეთ რომ დარჩა  
თავისუფალი, ეს ამხანავი შეასახლეთ თავისი  
ოჯახით.

მერე მიუბრუნდა ისევ დავითს.

— დაზგას ნუ დაამტვრევთ, შეშა არის,  
მგონია, იქ ცოტა სანოვაგეც დაუტოვებით,  
როდესაც გაქცეულან იქ მცხოვრებნი, საერ-  
თოდ კი მიმართეთ კვების კომისარს, აი მანდ  
არის მუშათა სასახლეში.

ის ადგა.

— ახლა ცოტა არ იყოს მეჩქარება, ხვალ  
მოდი სტამბაში.

— ამხანავი სერგო, — უთხრა დავითმა,—  
იქნება ეს შენი სიუხვე მარტო მე მეხება... სხვებს  
რა მოელის? თუ მარტო მე, მაშინ...

სერგოს გაეცინა.

— რას ამბობ, დავით? ჩენი მოსელა ნი-  
შნავს მშრომელი ხალხის გამარჯვებას და მუქ-  
თახორების დამარცხებას. ჩენი მოსელა ნი-  
შნავს შრომის პატივისცემასა და უმუშევრო-  
ბის მოსპობას. ჩენ მოვედით, რომ სამუდა-  
მოდ მოესპონ ის უსამართლო წესი, რომელიც  
აქამდის ჩაგრავდა მუშა ხალხს და ასეთ სარ-  
დაფში აგდებდა. ამიერიდან მშრომელი ხალხი  
დაეუფლება ქვეყანას და ის იქნება ბატონ-პა-  
ტრონი. ძირიანულებიანად უნდა შეიცვალოს  
არა მარტო შენი, არამედ ყველა მშრომელის  
ცხოვრება, ახალი, უკეთესი, ბედნიერი ცხოვრე-  
ბა უნდა პერიდეს მშრომელებს. ახლა კი ნა-  
ხვამდის. — მიუბრუნდა იმ წითელარმიელს, რო-  
მელისაც განკარგულებას აძლევდა, და უთხრა—  
ამ ამხანავს დაეხმარეთ, მოსწყოთ, — და გავიდა.

— მოქალაქევ, — მიზართა დავითს წითელ-  
არმიელმა, — მე ხალხს დაგამართ და, თუ შე  
იძლება, ახლავე გადადით ზევითა სართულში,  
აქ საწყობები უნდა მოვაწყოთ. დატვირთული  
ურმები ალაყაფის კარებში დგანან.

იმავე საღამოს დავითის ოჯახი უკვე ელე-  
ქტრობით გაშუქებულ, მდიდარი მდგმურების  
მიერ დატოვებულ ბინაში მისხდომდნენ დიდ  
დაჩუქურთმებულ მარმარილოს ბუხარს. ესმა  
იწვა მდგმურების მიერ დატოვებულ რბილ სა-  
ჭოლში და ბავშვებსაც რბილ ტახტებზე ჩასძი-  
ნებოდათ, სანვაგე კი, გარდა ერთი ქილა პა-  
მიდორის წვენისა და ერთი კოლოფი მდოგვისა,  
არაფერი დაეტოვებინათ, მაგრამ წითელარმი-  
ელმა ამოუტანა ფქვილი და ქონი. მათ კარგად  
ივახშეს. მეორე დღეს კი დავითის წინამძღო-  
ლობით ესმას გარდა მოხუცებულები და ბავშვე-  
ბიც ყველანი გაემართნენ რუსთაველის თეა-  
ტრის გვერდით „ქიმერიონში“, რომელიც ამ-  
დენხანს მდიდრებისათვის საამოდ დასურა-  
თებული და საქეიფო რესტორანი იყო, ახლა  
კი მცხოვრებლებისათვის იქ უფასო სადილები  
კეთდებოდა.

სადილი ესმასაც წამოუღეს.

— ოო, დედა, წვენი, კარტოფილი, პუ-  
რი — იმდენი ვჭამეთ! — ყვიროდნენ ბავშვები და  
ეკვროდნენ დედას.

— ესმა, — ეუბნებოდა დავითი ცოლს, როდე-  
საც ის ნელა შეექცეოდა მოტანილ სადილს.  
— ეს საერთო სასაღილო დიდი საქმის დასა-  
წყისია.. ახლა ამესილა თვალები... მე ისევ  
სტამბაში მივდიგარ. საამქინძამ განყოფილებას  
ვაწყობ, ჯამაგირი დამინიშნეს. ტანისამოსიც  
გამოვვიწერეს. ბავშვები სკოლაში უნდა მივა-  
ბაროთ. ხვალიდან უკვე სკოლები იხსნება, ექი-  
მიც გამოგიწერე.

— როგორ, სადა გვაქვს ფული ექიმისა-  
თვის? — უთხრა ესმა.

— ფული არ არის საჭირო, ესმა, დღეი-  
დან ექიმობა უფასოდ იქნება. მიტინგი იყო

ჩვენთან სტამბაში. სხვათაშორის, აშბობირენ,  
მოხუცებს პენისას დაუნიშავენ, განსაკუთრე-  
ბით ისეთ მუშებს, როგორც შენ იყავი, მამა...  
— რას ამბობ, ბიჭო დავით, მაშ რასც  
ბოლშევიკების შესახებ გვეუბნებოდნენ, ტყუი-  
ლი გამოდგა?

— როგორც ხედავ, მამა.

— არც ძარცვა, არც აკლება არ დაუწ-  
ყიათ ჯერ? — თქვა ესმამ.

— არა, არა, პირიქით. წითელარმიელებს  
სამაგალითოდ უჭირავთ თავი. მაღაზიები გა-  
სნეს. მთელ ქალაქში პლაკატებს აკრავენ და  
წესიერებისაკენ მოუწოდებენ ხალხს, ყველა  
უმუშევარს იწვევენ სამუშაოზე. უბინაოებს,  
ვინც ჩვენსავით იყვნენ, მდიდრების დაცლილ  
სახლებში აბინავებენ.

— ეჭ, მართლა, შეილო? იქნება გვეშველ-  
ოს რამე? იქნება ტყუილს გველაპარაკებოდნენ  
უწინ?! — თქვა და გაიღიმა დავითის მოხუცე-  
ბულმა დედამ, რომელიც ლაპარაკში არ ერე-  
ოდა.

— რაც იყო, იყო, დედა, ახლა ახალი  
ცხოვრება უნდა დავიწყოთ, — მოეხვია დედას  
დავითი და დაუმატა: — აბა, წავედი. შენ სკო-  
ლისათვის მოემზადე, ბიჭო ილიქო, ხვალ უნ-  
და წახვიდე.

— მე, მამი? — შესძახა ტირილით გოგონამ.


— შენც, შენც, რასაკვირველია, აი, წუ-  
ლებს რომ მოგიტან...

— მე დედას ჩუსტებს ჩავიცვამ.

— მაშ, შენც მოემზადე, — უთხრა მან და  
მხიარულად გავიდა.

ილიქო და გოგონა ორივე შეხტნენ სიხა-  
რულით და სიმღერა დაიწყეს.





ეს მოხდა სოფელ ტიხორეცკაიაში, წითლების შტაბში, 1918 წლის აგვისტოს დასაწყისს.

რიუჩაუია. ვარსკვლავები ლაქვარდ ცაზე ნელნელა ქრებიან. ბუნება იღვიძებს.

ბუნება აღტაცებით მოელის თავისი დედის, მზის ამოსვლას, და თითქოს იმანაც შეისმინა მათი ვედრება. აღმოსავლეთიდან ამოცურდა ცხოველმყოფელი მხე და თავისი ნაზი, ბრწყინვალე, შვიდფერი სხივი ბუნებას სტყორცნა, არემარე დაათბო.

დღეს ჩვეულებრივად ადრე გაიღვიძა წითელმა რაზმა. პირველი თვალები ჩინერმა ხუნ-ხუნმა გაახილა. წამოდგა, პირი დაიბანა, დაუსტეინა და თვალები მიდამოს მიაპყრო. მან მხარულად დაიწყო სიმღრა.

ხუნ-ხუნი იყო ერთ-ერთი წითელარმიელი. ის ძლიერ ყოჩალი ვაჟკაცი იყო, ამიტომაც ძლიერ უყვარდა მთელ რაზმს, განსაკუთრებით მეთაურ ვასილს.

დღეს ვასილი ძლიერ მხიარულად არის, მან მხარზე დაადგა ხელი ხუნ-ხუნს და ალერსით მიმართა: „ხუნ-ხუნ, წაიყვანე ათი კაცი და წადი რკინისჯზაზე“. ხუნ-ხუნმა მხიარულად მოისშინა მეთაურის სიტყვები, გადიგდო თოფი მხარზე და ათ წითელარმიელთან ერთად ვასწია რკინისჯზის დასაზერავად.

ისინი გზაში მხიარულად მიდიოდნენ, ხუნ-ხუნი ამაყად იყორებოდა და რაღაცას უყვარდა თავის ამხანაგებს. მათი ფეხები ნამიან ბალას თელავდნენ.

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, ჩვენ გავიმარჯვებო, მალე დატევება ის დრო, როცა აღმო-

საელეთიდან ამოცურდება ხუთქიმიანი ვარსკვალები და თავისი წითელი სხივებით ხუთივე მხარეს გაანათებს, ის დავითბობს ქვეყანას და სამურ ცხოვრებას შეგვიძნის! — ამბობდა ხუნ-ხუნი.

ვერ მოასწრო ამ სიტყვების დამთავრება, რომ საიდანლაც მატარებელმა დაიგუგუნა და ქშენით ხელნელა იწყო სვლა. მატარებელი სავსე იყო გენერალ შურიოს ერთ-ერთი თეთრ-გვარდიელთა რაზმით.

ხუნ-ხუნი წითელარმიელებთან ერთად ჩასაფრდა, საქმე ცუდად იყო. რკინისგზა სოფლიდან ძლიერ შორსაა, იქ კაცის გაგზავნა უკვე გვიანაა. ჩასაფრდნენ, თოფები დაუშეიზნეს, მაგრამ რას გახდებოდა 10 კაცი ამდენ ჯართა?

ისროლეს წითელებმა. სწორედ ამ დროს მატარებლიდან პასუხი გასცა ზარბაზანმა. რამდენიმე წითელარმიელი დაიჭრა. დადგა საშინელი წუთი, თეთრები იღებდნენ წითელების შტაბს.

ხუნ-ხუნმა ცოცვით გასწია რელსებისაკენ, ლიანდაგი აყარა.

მატარებლის მემანქანე, ძველი ბოლშევეკი მიშა ბანდუკოვი, მიხვდა, რომ ლიანდაგი აყრილი იყო, სწორედ ამიტომ ამაყად წინ წაიყვანა მატარებელი და უფსკრულში გადაჩეხა. მატარებელი სულ მთლად დაიმტკრა. არც ერთი თეთრგვარდიელი არ გადარჩენილა. დაიღუპა თვით ბანდუკოვიც.

ხუნ-ხუნი უვნებელი იყო. მან დაიცვა წითელების შტაბი, გადაარჩინა სოფელი განადგურებას და ამხანაგებთან ერთად ამაყად ბრუნდებოდა თავის შტაბში.

ეთერი ჩუბინიძე.

(თბილისი, პირველი სკოლის მე-6 კლასი).



## სამართლოს საქართველოს

ოცი წელი შეგისრულდა,  
ჭაბუკობის გიდგა ხანა,  
ყვავის შენი ველ-მინდორი,  
ვარდობს შენი ბალი-ყინა,  
ხალხის მტრებმა, საზიზლრებმა,  
დიდხანს ლესეს შხამით დანა,

მაგრამ მაინც ვერ დათრგუნეს  
აღმავალი შენი ძალა.  
გამარჯვების დროშოვანო,  
გულადო და გულმართალო,  
ყვავილობ და იფურჩქნები,  
საყვარელო საქართველო!

3. პობალავა (ქ. მახარაძე, მერიის საშუალო სკოლა).

## ღიღი გზე

— გაზაფხულია, გაზაფხული, მზე კი რად იმალება?

— ო,ჩემო პატარა განა ვერ ხედავ მზები? აი, შენს სახეზეც მისი ღიმილი და შუ-  
ქი ჰავენია. შენ ხედავ დიდ მზეს და ილიმები. პატარა ხელებით უქრავ ტაშს  
და გიხარია. ღიმისმდგარი თვალებით გაჲყურებ დარაზმულ პიონერთა მწერივს  
და მათ სახეზე ხედავ მზის სხივების ციაგს, დიდი მზისა, რომელიც ზაფხულშიც  
და ზამთარშიც ერთნაირად ანათებს და ათბობს ყველასთვეს.

აი, ის დღესაც ჩვენთან არის, დიდი მზე... გვათბობს და ჩვენ არ გვცივა.


განანა პუბლიცია (თბილისი, მე-8 სკოლა).



მთვარე იყურება ქურდულად,  
სხივები ხეივანს მოჰყინა,  
ოცნება—ნატყორცნი შურდული—  
კვლავ შენკენ, კვლავ შენკენ მოფრინავს!  
მწვანე ტორები მეფარება,  
ფიქრების ნაკადი არ ცხრება,  
სიო ხის ფოთლებს ებარება,  
ირწევა ლამაზი ცაცხვები.

თითქოს ტორები მეხვევიან,  
ფოთოლთა ჩურჩული გაისმის,  
სხივა ჰავენს მნათობი ხეივანს  
და გულიც მევსება ხალისით.  
მტკვარიც სიხარულით დუღუნებს,  
მთვარემ მას სხივები მოჰყინა...  
სამშობლო! ოცნება შურდულად  
კვლავ შენკენ, კვლავ შენკენ მოფრინავს!

რეზო თაბუკაზვილი (თბილისი, მე-14 სკოლის მე-6 კლასი).



პროფ. ხ. გაგაჩაძე.

### (დ ე ღ ა ქ ა ლ ე კ ე ბ ი ს ი ს ტ რ ი ი ღ ა ნ).

ძალიან ქველი ქალაქია თბილისი. იგი რამდენიმე საუკუნის წინ დაარსებულა.

ქალაქის ჭარბოშობის შესახებ არსებობს ღვევენდა: თურმე მეფე ვახტანგ გორგასლანი თბილისის მიდამოებში ნადირობდა. უცცრად მეფის წინ აფრინდა ლამაზი ხოხობი. მეფე ხოხობს მოშინაურებული მონაცირე მიმინო დაადევნა. აფრინდა მიმინო მაღლა, გამოუდგა ხოხობს. სულ მაღლე ორივე ფრინველი თვალს მიეფარა. შეწულდა ვახტანგი. მას არც ხოხობის დაკარგვა სურდა, არც მიმინოსი. გაუშვა წინ ძალლები და მათ კვალს მიჰყვა. ცოტა ხის შემდეგ ძალლის ყეფა შემოესმა. განაგრძეს გზა. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ დაინახეს ბატარა მდინარე, რომელსაც ახშივარი ასდიოდა. მდინარის ნაპირზე ძალლი ყეფდა, ხოლო მდინარის შუაში ჭრომზე ერთმანეთთან ბრძოლით დაღლილი ხერხობი და მიმინო ფრთხილებდნენ. მონაცირეთა მისვლისას მათ ერთი კიდევ გაიმზიროლეს და წყალში გადავარდნენ. მეფე უბრძანა მხლებელს ამოეყვანა წყლიდან ფრინველები.

მხლებელმა, ჩადგა თუ არა მდინარეში ფეხი, უცებ ჭამოიყირა: გაიმე, დავიწევიო, თან საშინლად დაიღმიკა, მაგრამ დავალება მანც შეასრულა, მეფეს მოურბენინა ხოხობი და მიმინო.

ვახტანგმა დახედა ფრინველებს და ოქეა: ხედავთ? მოხარულან, უცნაური წყალი ყოფილაო.

მერე მიმოიხედა, თვალი მიმოავლო მთებს, ხევის ამ ბუნებრივ გალავანს, და მტკიცედ დასაკვენა: „აქ უნდა გაშენდეს ციხე-ქალაქი და ეწოდოს მას თბილისი“.

ასეთია ღვევენდა. ამ ღვევენდას საფუძლად აქვს რაღაც ისტორიული სიმართლე. მაგრამ თბილისის და-

ფუნქნება მანც არ შეიძლება ვახტანგ გორგასლანის ხანას მიგაკუთხოოთ, რადგანაც ვახტანგი მესუთ საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა, ნამდგილად კი თბილისი როგორც დასახლებული ადგილი უქსოვარ დროიდან არსებობდა. თბილისში ახლანდელ ავლაბრის ხიდთან მტკვარი უცბად ვარდება ვიშრო კლდოვან კალაპოტში. მდინარის კალაპოტის ეს სიგიშროვე მეტად ხელსაყრელი იყო ხიდის ასაგებად. ამიტომ ამ ადგილს უქსოვარი დროიდან უნდა ყოფილიყო ხიდი, ხოლო სადაც ხიდი იყო, იქ მოსახლეობა იქნებოდა, მაგალითად, ხიდის მცველები, მათი ოჯახები და სხვ.

ზემოთ მოყვანილ ლეგენდაში ამიტომ უნდა იგულისმებოდეს ის ამბავი, როდესაც რომელიც მებატონებ ნადირობის შემდეგ ყურადღება მიაკუთ თბილის და გადაწყვიტა იქ დაბინავებდა. სახელიც მაშინ ამ ადგილს მიეცა გოგირდის ცხელი საბანარ შუაროვემისაგან (თბილი-თბილისი), ხოლო ვახტანგ გორგასლანის ლვაწლს შეადგენს თბილისში ქალაქის გაშენება.

მანაძევ და ამ დროსაც საქართველოს დედაქალაქად მცხეთა ითვებოდა.

მცხეთა მდებარეობდა იქ, სადაც ახლაც არის სოფელი მცხეთა, სახელდობრ, სადაც მდინარე არავი ერთვის მტკვარს. დაბლობი ფართობი ამ ადგილს მცირე იყო, შემდეგ იწყებოდა ისეთი ზეგანი, რომელიც გამოუსადეგ-გარი გამოიდგა კარგი სიმაგრის ასაგებად, წყლის უქონლობის გამო. ამიტომ მცხეთა შეიძლება ყოფილიყო საქართველოს (ანუ, ძეველი გამოთქმით, ქართლის) მეფის სატახტო ქალაქი მანამდის, სანამ ჩევნის ქვევანაში სახელმწიფო ცხოვრება შედარებით მოისუსტებდა.

მაგრამ მდგომარეობა სულ შეიცვალა გახტანგ გორგასლანის დროს. საქართველო ახლა წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც დიდი ძალა ჰქონდა, მისი თავდაცვა თხოულობდა დიდ ციხე-სიმაგრეებს. ამით აისწენდა, რომ გახტანგ გორგასლანმა გადაწყვიტა გაეშენებინა ახალი ქალაქი თბილისის მიდამოებში და გამოცემადგებინა ის საქართველოს მთავარ ქალაქად.

მართლაც, თბილისის ძველ დროში საუკეთესო მდებარეობა ჰქონდა თავდაცვის თვალსაზრისით. მთაზე გაშენებული იყო სიმაგრე, დაბლობში კი მტკვრის მარჯვენა ნააირზე მდებარეობდა ქალაქი. აი ამ დაბლობში დაწყო ვახტანგ გორგასლანმა ქალაქის გაშენება.

ვახტანგმა თბილისში ქალაქის გაშენება დაიწყო თავისი მართველობის უკანასკნელ წლებში, 480-იან წლებში. 488 წელს ვახტანგი სასიკვდილოდ დაჭრეს სპარსელებმა ომში და მაღვე გარდაიცვლა კიდევც. გორგასლანი მოკვდა ისე, რომ ქალაქის გაშენება ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა, ამიტომ სიკვდილის წინ უნდესრდა თავისი შევილს დაჩის ამ საქმის დამთავრება და თბილისის გამოცხადება საქართველოს დედაქალაქად. დაჩიმ შესარულა ეს. ამგვარად, მე-5 საუკუნის დასასრულიდან—490 წლებიდან—თბილისი გადაიქცა საქართველოს დედაქალაქად.

მეუთე საუკუნეში საქართველო დაიპყრეს სპარსელებმა. სპარსელი მმართველი, ანუ პიტიაში, თბილისში დაჯდა.

ამ დროიდან თბილისმა იწყო ზრდა-განვითარება. იზრდებოდა მცხოვრებთა რაოდენობა, ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა. თბილისის სწრაფ ზრდას ხელს უწყობდა მისი მდგრადიობა; აյ მოდიოდნენ ვაჭრები სპარსეთიდან, მესოპოტამიდან, რომიდან, საბერძნეთიდან, სომხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

წელში გამართვაც ვერ მოასწრო ქალაქმა, რომ მას ბიზანტიელები დაესხენ. მათ ალყა შემოარტყეს თბილისს და ბრძოლა გამოუცხადეს ქალაქში დაბანაკებულ სპარსელებს. სპარსელები არ თმობდნენ პოზიციებს, თავგანწირვით იბრძოდნენ ბიზანტიელების წინააღმდეგ.

რამდენიმე ხანს საშინელი სისხლისმდგრელი ბრძოლა იყო. იხოცებოდნენ ადამიანები, იწვოდა ქალაქი. ბოლოს, როგორც იქნა, ბიზანტიელებმა აჯობეს სპარსელებს და თბილისი აიღეს. ეს მოხდა მეშვიდე საუკუნის დამდეგს.

მაგრამ იმავე საუკუნეში, 643 წელს, არაბები შემოესივნენ ქვეყანას. მათ განდევნეს ბიზანტიელები და ქალაქში თავიანთი მმართველი, ამირა, დასცეს, მეფე ბაგრატ მესამის დროს ქართველებმა სკაცეს ტბილისიდან მტრის განდევნა. მათ ალყა შემოარტყეს ქალაქს. არი წელდა გრძელდებოდა ეს ალყა, მაგრამ მტერი მინც ვერ განდევნენ.

მეოურობელ საუკუნეში საქართველოს თურქი სელჩუქები შემოესივნენ. მათ დაანგრიეს და დაიბყრეს თბილისი, მცხოვრებლებს ხარე დაადეს.

მეოურობელ საუკუნის უკანასკნელ წლებში საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ახალგაზრდა დავითი — შემდგომ დავითი აღმაშენებლად წილდებული. მან მედგარი ბრძოლა გააჩადა თურქების წინააღმდეგ. მრავალრიცხვანი ომებისა და ლაშქრობის შედეგად დავითმა განდევნა მტრები თითქმის მთელი კავკასიიდან.


მაგრამ თბილისი მაინც თურქების ხელში რჩებოდა, ეს იმიტომ, რომ ქალაქი ძალიან გამაგრებული იყო და ძნელდებოდა მისი ადება. ბოლოს დავითმა მტრებს გადაუქრანა უკან დასახევი გზა და თბილისც აიღო. ეს იყო სახელოვანი მეფის სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში—1122 წელს. დავითმა თავისი ჯარი ჩააყენა ქალაქში.

თბილისი ამ დროს ჰქონდა დიდი ციხე (მთაზე) და გალავანი. დავითმა გააუმჯობესა ქალაქი და გაიშენა თავისთვის ციხე-სასახლე იმ აღილას, სადაც ახლა მეტების მუხეუმისა. ამ სასახლიდან ახლა მზოლოდ საძირკვლების ნაწილია დარჩენილი, მაგრამ ეგრეთწოდებულმა მეტების ეკლესიამ მოაღწია ჩვენამდის. ეს ეკლესია მაშინ აშენება, ვინაიდან, ფეხადლური საზოგადოების აზრით, სასახლესთან აუცილებლად ექლესისაც უნდა ყოფილიყო აგებული.

ამ სასახლეში ცხოვრობდა მეფე, მაგრამ მეფის სასახლე ამ ხანებში მარტო საცხოვრებელ სახლს როდი წარმოადგენდა. იქვე მთელი დღე ფუსტუსობდნენ ვეზირები (მრჩეველები), სხვადასხვა დიდი და პატარა მოხელეები, ასე რომ არსებითად ამ სასახლიდან წარმოებდა მთელი ფეხდალური საქართველოს მართვა-გამეობა.

თამარ მეფის დროს თბილისი იხსენიება როგორც მდიდარი და სახელოვანი ქალაქი.

მაგრამ მყუდროება დიღხანს არ გაგრძელდა. თამარ




ქ. თბილისის საერთო ხედი. XVII საუკუნის ბოლო.

შეფის შემდეგ, მისი ქალიშვილის რუსუდანის დროს, თბილის დიდი უბედურება დაატყდა.

საქართველოს შემოსისა სპარსეთის სულთანი (ხელმწიფე) ჯელალ-ეგინი, რომელიც დიდალი ჯარით მოადგა თბილისს. ქალაქის დაცვა მინდობილი ჰქონდა ორ ძმას მემნის და ბოკო ბოკოს-ქეს.

სპარსელების სულთანნის გამოგზავნა ქალაქის გაღავანთან თავისი წინა რაზმი, ოთხიათასი ცხენოსნისგან შემდგარი. თბილისის გაღავანი საშერეოთი მაშინ მიჰყებოდა სოლოლაკის წყალს, რომელსაც ახლა დაბახანის წყალს ეძახინ (აბანოებაზე, იქ, სადაც ახლა ბოტანიკური ბალის შესავალია). ამ ადგილას ახლაც არის დარჩენილი დიდი კოშკების ნაშთი. ეს კოშკები იყავდნენ ამ შესავალს, რომელსაც „განჯის კარი“ უწევა, რადგანაც ამ ქალაქის კარიდან საქარავნე გზა მიღიოდა ქალაქ განჯისაკენ.



## ქველი თბილისი



ამ განჯის კარიდან განვიდა სპარსელების გასადევნად ქართველების ჯარი მემნა ბოკოს-ძის წინამდოლობით. მაგრამ როგორც კი სპარსელებმა დაინახეს, რომ ქართველების ჯარი გაღავიდან გამოვიდა, მაშინვე ცხენების ჭენებით უკან გაიქცნენ, ქართველები გამოუდგნენ მათ და ვისაც მოახლეობდნენ, ხოცავდნენ. თურმე ეს გაქცევა განხრას იყო მოწყობილი ქართველების წასატყუბლად. როდესაც ქართველებმა კარგა მანძილზე წაიწინი, გამოჩნდა სპარსელების ახალი ჯარი, ხევებში დამალული, რომელიც გვერდიდან თავს დაესხა ქართველებს.. მაშინ სპარსელების გაქცეული ჯარიც მოტრიალდა და შეებრძოლა ქართველებს. ქართველების მდგომარეობა გართულდა; მათ ორი მხრიდან აწევებოდა მტრი. ქართველები იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყნენ, რომ ციხე-გაღავანი შეესწროო, მაგრამ ეს გაქცევა არ იყო ადვილი საქმე, რადგანაც ეს ადგილი სასესა ხეგხვებით და ცხენოსან ჯარს არ შეეძლო იქ თავისუფლად მომრაობა. ამიტომაც ჯარი ბრძოლით ნელა იხვდა უკან, მათ ბრძოლით თან მოჰყებოდნენ სპარსელები.

ქართველების უბედურება ამით არ გათავთა. სპარსელები თურმე წინდაწინვე საიდუმლოდ შეთანხმებულიყნენ თბილისში მცხოვრებ მაჟმდიან-სპარსელებთან (მაშინ თბილისში მაჟმდიანი სპარსელი გავრცელი ბლომად იყვნენ), რომელებიც თავს უნდა დასხმოდნენ ქართველებს ქალაქში უკან დაბრუნებისას განჯის კართან და ხელი შეეშალათ მათი შემოსვლისათვის.

ასც მოხდა. როდესაც სარდალი მემნა ბოკოს-ძე ცხენით შედიოდა განჯის კარში, მას ერთმა სპარსელმა დაჲრერა თავში ლაშტი (რკინის დასარტყმელი იარაღი) და იქვე მოკლა. იმავე წუთში შინაური სპარსელი ვაჭრები თავს დაესხნენ განჯის კართან ქალაქში შემავალ ქართველ მეომრების. ატყდა საშინელი ბრძოლა. ქართველები ორ ცეცხლს შუა მოემწყვდნენ - უნიდან მათ აწებებოდათ სპარსელების ჯარი, წინიდან კი ებრძოდა სპარსელი ვაჭარ-ხელოსნების რაზმი. ასეთ პირობებში ქართველებმა უერ შეძლეს ციხის დიდი კარების დაკეტვა და სპარსელების ჯარი ფეხდაუერ შეჰყვა ქართველებს ქალაქში.

ქართველების მხედართ-მთავარმა ბოკო ბოკოს-ძემ თავისი ჯარის ნაწილით გადაასწრო სპარსელებს, ის გადავიდა ხიდს და ჩაიკეტა მეტების ციხე-სიმაგრეში. თვით ქალაქში ატყდა საშინელი ხოცავ-ულეტა. თბილისის მცხოვრები ყოველი საშუალებით იცავდნენ თავს, ვიწრო შეჰყები და ჩიხების სიმრავლე მათ ამაში ძლიერ უწყობდა ხელს. ყოველი პატარა უბანი დიდის სიმამაცით იცავდა თავს, ასე რომ თავდამსხმელებმა თბილისში მაშინ დიდი ზარალი ნახეს.

სულთახმა ჯელალ-ედინმა განკარგულება გასცა, რომ სიონის ტაძრის გუმბათის წვერი მოეხსნათ და იქ გაეკეთებინათ მისოვის საჯღომი. ის აქედან უყურებდა, როგორ ეუფლებოდნენ ქალაქის ცალკეულ ჩიხებსა და უბნებს და აქედან იძლეოდა სათანადო განკარგულებებს. როგორც ჩანს, ბრძოლა ქალაქის შუქებსა და უბნებში რამდენიმე დღე გარემოდა, სანამ მცხოვრებლების დიდი უმრავლესობა არ იქნა ამოწყვეტილი.

ჯელალ-ედინმა ხუთი წელიწადი დაჲრე თბილისში და საზოგადოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ხუთი წლის შემდეგ კი ის თვითონ გაიქცა თავისი ჯარით საქართველოდან, რადგანაც ამიერ-კავკასიას უახლოედგებოდნენ მონგოლები, რომელთაც მაშინ უკვე დაცყრობილი ჰქონდათ ძალიან ბევრი ქვეყანა. ჯელალ-ედინი მაღლ მოკლეს, საქართველოში კი მონგოლები შემოვიდნენ. საქართველოს მაშინდელმა მთართველმა რუსუდან დედოფალმა ბრძანება გასცა, რომ მონგოლების მოახლოებისას თბილისი გადაეწვათ. მას არ უნდოდა, რომ თბილისში მონგოლები დაბინავებულიყვნენ და აქ მოეკიდათ ფეხი. ამიტომ მონგოლების ჯარის მოახლოებისას ქართველებმა ცეცხლი წაუკიდეს თბილისს და მთლად გადაბუგეს ის.

შემდეგ თბილისმა კვლავ დაიწყო მოშენება და მე-13 საუკუნის დასასრულს ის კვლავ მნიშვნელოვანი ქალაქი გახდა. მას ამ დროს, სხვათაშორის, აბრეშუმის ფერადი ქსოვილების მეტად განვითარებული წარმოებაც.



შოთა რუსთაველი



ერეკლე II.



გრიგოლ ღრაელიანი.

ჰერიკი. ეს ქსოვილები იმდენად კარგი ხარისხისა იყო, რომ გაჰქინდათ შორეულ ქვეყნებში და ევროპაშიც.

მეთხუთმეტე საუკუნეში თბილისი, შედარებით წინანდელ ხანასთან, შემცირებულია. 1474 წელს თბილისი ინახულა ეგროპიდან სპარსეთში ელჩად გაგზავნილმა ერთმა იტალიელმა, რომელიც წერს, თბილისი წინათ განთქმული იყო თავისი სიდიდით, მაგრამ ახლა შემცირებულიათ. ქალაქის ის უბნები, რომელებიც აოხრებას გადარჩა, წერს ის, ახლაც კარგად არის დასახლებული.

ეს აოხრებანი და გარეშე მტრების შემოსევანი მუდანი სიცოცხლეს უწარებდა თბილისი და საიბდა მის კეთილდღეობას. ფრთალურ ხანაში თითქმის არ ყოფილა არც ერთი ისეთი საჯუნე, რომ თბილის ერთორი აოხრება მანც არ განეცდოს, და ისიც როგორი აოხრება!

ქალაქის მთლიად გადაწევა, სახლების მთლიანად დანგრევა და მცხოვრებლების ამოწყვეტა ან ტყვედ წაყვანა მონებად გაყიდვის მიზნით,—ასეთი იყო ამ აოხრებათა შედეგი. უკანასკნელი დიდი ასეთი უბედურება თბილისმა 1795 წლის სექტემბერში გამოიარა.

ამ წელს სპარსეთის მმართველი (შაპი) აღა-მაჭად-ხანი შემოესია ქართლ-კახეთს, რომელიც მაშინ ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამ სახელმწიფოს განვებდა მოხუცი გმირი ერეკლე II, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე დაუღალავად იბრძოდა თავისი ქვეყნის უში-შროების უზრუნველაყოფად. ერეკლეს დადგებული ჰერიკი და მფარელების მიღების შესახებ წელშეკრულება რუსეთთან და გაწყვეტილი ჰერიკი დამკიდებულება სპარსეთთან. როდესაც აღა-მაჭად-ხანმა გააერთიანა თავისი მმართველობის ქვეშ მთელი სპარსეთი, მან მოსთხოვა ერეკლეს რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და სპარსეთის ბარონობის ალიარება. ერეკლემ ამაზე უარი შეუთვალი. მაშინ აღა-მაჭად-ხანი დიდძალი ჯარით შემოვიდა ამიერ-კავკასიაში და განჯისაკენ გაემართა. აქ დატოვა თავისი ჯარის ნაწილი და თვითონ კი ოციათასი რჩეული ცხენოსნით საჩქაროდ წამოვიდა თბილისისაკენ.

მოხუც ერეკლეს ყოველგვარი ზომები მიეღო თბილისის დასაცავად. ქალაქის აზლოს, კრწანისის ველშე, დახვდა მტერს მეფე. ერეკლემ სძლია მტერს. მაგრამ ღამით მოღალატებმა გაულეს სპარსელებს ქალაქის კარები და შემოუშევს ისინი.

მხეცა აღა-მაჭად-ხანმა საშინლად ააოხრა ქალაქი. მან სიბიძურითა და ნაგავით წაბილწა მონასტრები, დაანგრია სახლები.

მაშინ თურმე თბილისში ერთი მტერად იშვიათი სასახლე ყოფილა, რომლის კედლები შიგნით მარმარილოთი და ფერადი მინით იყო მოპირკეთებულიო. აღა-მაჭად-ხანს დაუნგრევია ეს სასახლე.

ამ მხეც მეფეს თურმე რაღაც სენი სჭირდა. მას ეგონა, რომ თბილისის ცხელი აბანებით განიკურნებოდა. ამიტომ ჩაწოლილა აბანოში და უბანავნია. მაგ-



ლალი კაცხოველი.



ილია ჭავჭავაძე.



შალვა დადიანი.

რამ, რა თქმა უნდა, არ განკურნებულა. ამიტომ გაბრაზებულა და უბრძანებისა აბანების დანგრევა. ბილწი მტარალის ბრძანება უმალევ შეუსრულებით.

აღა-მაჰმად-ხანი დიდხანს ვერ გაჩერდა თბილისში. მას ეშინოდა, რომ ერეკლე ახალ ჯარს შეპკრებდა და თაქ დაესხმოდა სპარსელებს; გარდა ამისა, სპარსეთშიც ამ დროს აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ აჯანყება დაშეცემულიყო. ამიტომაც შაჰმა უშემდებელი დანახა თავისი ჯარით საჩაროდ თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო.

დაბრუნების წინ შაჰმა მოლიანად გადაწვევინა მოელი ქალაქი, უფრო მოზირდილი შენობები კი ჯარს სპეციალურად დააგრევინა საძირკვლამდის. სპარსელების ჯარის წასელის შემდეგ თბილისი ნამდვილ ნანგრევებს წარმოადგენდა, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

მოელს ქალაქში მაშინ გადარჩა მხოლოდ ორი პატარა სახლი. სპარსელებმა თან

წაიყვანეს ტყვედ ათიათასამდე კაცი და ქალი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ძველი თბილისი სულ სხვანაირი იყო. ქალაქს შემოვლებული ჰქონდა გალავანი და ხალხი გალავნის შიგნით ცხოვრობდა. გალავნის შიგნით ცხოვრება საიმედო იყო. ქალაქს ჰქონდა კარგები. თბილისის სულ ექვსი გასასვლელი კარი ჰქონდა და ღამ-დამობით ეს კარებიც იკეტებოდა.

გალავნის გარეთ იყო ის მშენებელი ქუჩა, რომელსაც ახლა რუსთაველის პროსპექტი ეწოდება. ის ლამაზი ბალი, რომელიც ახლა ცდავეჭის კომუნარის სახელს ატარებს, ის უბანი, რომელიც ახლა ცდავეჭის კომუნარის სახელს ითვლება, სულ რაღაც ასილდე წინათ სოფელს მოგაგონიდათ. ბუჩქები და ბალანს ფარავდა რუსთაველის პროსპექტს და მის მიდამოებს, ხოლო ცდავეჭის კომუნარის სახელმძღვანელის ბალის ცალი მხარე მაშინ სასაფლაოს წარმადგენდა, მეორე კი, უფრო გაშლილი, საჯირითოს. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ბუჩქებით შემოსიღდ ნაპირებს შორის, ნელა მოლელავდა მოდუდუნე მტკვარი. ორთაჭალისკენ გაშენებული იყო ბალები და ევრახები. ისინი თითქმის კიდეც ფარავდენ იმ სახლებს, რომლებიც მაშინ იქ აშენებული იყო. ეს სახლები უფრო ხშირად ერთსართულიანი იყო, ერთმანეთშე მიღმული დაბალი კედლებით. ბევრგან ერთი



სერგო იარაშვილი

△

სახლის სახურავიდან მეორეზე თავისუფლად შეეძლო კაცს გადასვლა ქართველი სოკოებივით იყო მოთხოვილი ძეველი თბილისის ტერიტორიაზე, აქა-იქ იდგა რამდენიმე მოსრდილი სახლი თუ სასახლე. ისინი ეკუთვნოდა მეფებს, ბარანიშვილებს და თავადებს, თეიმურაზ მეორებს და მის შეილს ერეკლე მეორეს იმ დროისათვის თვალსაჩინო სასახლეები ჰქონდათ.

„ვერა სჯობს ვერც ერთი სახლი,—ამბობს თეიმურაზი თავისი სასახლის შესახებ,— მას ახლოს ბალი აქვს, ბალში ყვავილები და ვარდებია, სადაც ტკბილ ხმაზე გალობები ბულბულები და იადონებია.“

ამისთანა სასახლე ისე იდგა ქოხებს შორის, როგორც გულივერი ლილიაზებს შორის.

მეცხრამეტე საუკუნის დასწყის საქართველო რუსეთმა დაიპყრო. რუსეთის თვითმმართველობის შემოსვლამ და განმტკიცებამ ხელი შეუწყო ძეველი თბილისის სახის რღვევას. რუს

მოხელეებს თბილისში უმთავრესად გარებუბანი მოეწონათ, ამიტომ იქ იწყეს დაბინავება და სახლების აშენება. თანათან რუსთაველის პროსპექტზე (წინათ გოლოვინის) შესანიშავი სახლები წამოიკიმა.

1859 წელს მოისპონ საჯირითო და სასაფლაო ახლადელი ოცდაექსი კომუნარის ბალის მიღამოებში. აქ ბალი გაშენება იწყება.

საერთოდ მეცხრამეტე საუკუნეში თბილისში დიდი ცელილებები ხდებოდა. ისტორიულად თბილისის კულტურა, მერქველობა, ხდებოდა კლასობრივი დიფერენციაცია, ჩრდებოდნენ ახალი კლასები.

აქ მოღაწეობდნენ შესანიშავი ქართველი მწერლები და პოეტები, ჯერ გრიგოლ არბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვები, შემდეგ კი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვები.

თბილისში რამდენიმე გაზეთი არსებობდა. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდათანი წლებიდან ზოგიერთ მათგანში („კალი“, „მოამბე“) მარქსიზმის ქადაგება დაიწყეს „მესამე დასელებმა“. როგორც გიცით, მესამე დასი“ იყო პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატული ორგანიზაცია საქართველოში.

1897 წელს დასში შევიდა ლადო კეც ხველი, ხოლო 1898 წელს ამხანაგი ი. სტალინი.

ამხანაგი ს ტალი ი ნი მანამ რევოლუციონურ-მარქსის-  
ტულ მუშაობას აწარმოვებდა თბილისის სასულიერო  
სემინარიაში, ის იქ 1896 - 97 წლებში ორ წელს ხელმძ-  
ღვანელობდა.

1900 წელს ამხანაგ ს ტალი ი ნი ს ხელმძღვანელობით  
თბილისში მოაწყო პირველასიობა. მუშები შეიკრიბრნ  
ქალაქებარეთ, მლაშე ტბის არაონში. აქ მგზნებარე სიტ-  
ყით გამოიდა ამხანაგი ს ტალი ი ნი.

შემდეგ წელს თბილისის მუშებმა პირველად გამართეს  
ქუჩებში საპირველმანისონ დემონსტრაცია. პოლიციელე-  
ბმა და კაზაკებმა დაჭრეს და დაპატიმრეს რამდენიმე  
მუშა.

ამ დემონსტრაციას პირადად ამხანაგი ს ტალი ი ნი  
ხელმძღვანელობდა. მთავრობა ყოველ ღონის ხმარობდა  
რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად. ექვებდნენ ამ  
ხანაგ ს ტალი ი ნი, კეც ც თ ვ ლ ს და სხვა მგზნებარე  
რევოლუციონერებს.

მეტის ჯალათებმა შეიპყრეს ლადო კ ე ც ხ ო ვ ლ ი და  
1903 წელს კიდევ მოკლეს იგი მეტების ციხეში.

ამ დროს თბილისში არ იმყოფებოდა ამხანაგი  
ს ტალი ი ნი. იგი ქუთაისის საგუბერნიო საპატიმროში  
იჯდა. მალე ამხანაგი ს ტალი ი ნი აღმოსავლეთ ციმბირ-  
ში გადასახლეს, მაგრამ 1904 წელს ის იქიდან გამოი-  
კა და თბილის დაბრუნდა.

აქ ამხანაგი ს ტალი ი ნი სათავეში  
ჩაუდგა ამიერ-კავკასიის ბოლშევკულ  
ორგანიზაციებს. ახლა ამიერ-კავკასიის  
და კერძოდ თბილისის ბოლშევკულმა  
ორგანიზაციამ მეტი სიცხოველით, მე-  
ტი სიძლიერით დაიწყო მუშაობა. ამის  
შემდეგ არასოდეს არ შეწყვეტილა ქა-  
ლაქში რევოლუციური მოძრაობა.

1917 წელს, თბილის რევოლუ-  
ციის შემდეგ, საქართველოს მენშევი-  
კები დაეპატრონენ. მათ სულ გააპარ-  
ტახეს სკარველო, გააპარტახეს თბი-  
ლისიც.

ხალხი ძალიან შეწუხებული იყო მათი ბატონიშვილი.  
შეჩომებულს უნდოდათ მენშევიკების დამხობა, მაგრამ  
იცოდნენ, რომ საკუთარი ძალით ვერ დაამარტებდნენ  
მტრებს. ამიტომ დახმარებისათვის მიმართეს, რუსეთის  
პროლეტარიატი.

თბილის ერთ დღეს წითელი არმია ამხანაგი  
ს ტალი ი ნი კი ი ს ხელმძღვანელობით მოა-  
დგა საქართველოს. მენშევიკები გაიქცნენ. 1921 წლის  
ოცდასუთ თებერვალს საქართველოში დამყარდა საბ-  
ჭოთა ხელისულება. ეს ისტორიული გამარჯვება დე-  
პეშით აცნობა ს ტალი ი ნი კი ი ძე მ ლენინსა  
და სტალინს. დევეშაში სერგე სწერდა:

„თ ბ ი ლ ი ს ი ს თ ა ვ ბ ე ს ს ა ბ ჭ ი თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ-  
ლ ე ბ ი ს წ ი თ ე ლ ი დ რ თ შ ა ფ რ ი ა ლ ე ბ ს. გ ა უ-  
მ ა რ ჯ ი ს ს ა ბ ჭ ი თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს“.


ამის შემდეგ თბილისმა სწრაფად იწყო აღორძინება,  
ზრდა-განვითარება.

ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა იმის შემდეგ, რაც  
ამხანაგმა ლაგერნეტი ბერიამ დაუყინა საკოთხი თბილი-  
სის სანიმუშო ქალაქებ გადატევებს შესავებ.

ქალაქში აიგო მრავალი ფაბრიკა, ქარხანა, სკოლა,  
სხვა შენობები... ყველაფერ ამათგან უწინდარეს ყყვლი-  
სა ადამიანთა კირვის სახელმძღვანელო ქარხანა, სატრი-  
კოტეჟო კომბინატი, წიგნის სასახლე, მარქს-ენგელს-  
ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, მთავრო-  
ბის სასახლე, ცირკი და მრავალი სხვა.

მოწყო და გალამაზდა თბილისის  
ქუჩები, გაშენდა ახალი ბაღები, სკვე-  
რები, გაიმართა ახალი მოედნები.  
ქალაქის ფუნიკულერის პლატოზე  
სულ ოთხ-ხუთ წელიწადში სტალინის  
სახელმძღვანელის მშვენიერი ბაღი გაშენდა,  
ასევე გაშენდა ლენინის ქუჩის გვერ-  
დით კირვის სახელმძღვანელის მშვენიერი  
ბაღი და სხვ.

სულ შეიცვალა ქალაქის სახე, უკანას-  
კნელ წლებში თბილის, საქართველოს  
დედაქალაქი, დიდი საბჭოთა კავშირის  
ერთ-ერთი სანიმუშო ქალაქი გახდა.



# Зоოбюро

**No 2**

၀ ၁ ၂ ၃ ၄ ၅ ၆ ၇ ၈ ၉ ၁၉၄၁ ခ.

## „ПИОНЕРИ“

Журнал Центр. Комитета ЛКСМ ГР. и Наркомпроса Грузии (на грузинском языке).

Издательство „Коммунисти“. Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 34. Тел. 3—02—61.

ଜୀବନରେ ଅମିଲାନ୍ତର୍ଦୟ, “କୁଳମହିଳାଙ୍କର୍ମିଣୀରେ”, ଲୋକାଶ୍ରମରେ ମିଶନମାର୍ଗରେ: ତଥିଲ୍ଲାପିତା, ଜୀବନରେ ଅମିଲାନ୍ତର୍ଦୟ ପାଇଁ ୩-୦୨-୬୧ ତାରିଖରେ ମୁଦ୍ରିତ ହେଲାଯାଇଛି।

20533660

	83.		83.
1. ალიო მაშაშვილი—ოცი წელია (ლექსი) . . . . .	1	5. ნინო ნაკაშიძე—გონდურაშვილის ოჯახში (ნაწ- ყვეტი მოთხრობიდან) . . . . .	4
2. სიონ ხიდისთაველი—ხარობს სამშობლო ბეჭადის (ლექსი) . . . . .	2	6. ნორჩ აგტორთა შემოქმედება . . . . .	8
3. შალვა ბაკიძე—ჩემი ზეცა თვალს რომ ახელს (ლექსი) . . . . .	2	7. პროფესორი ს. კაკაბაძე—თბილისი (წერილი) . .	10
4. ალ. ბეგაშვილი—ეს განატებული (ლექსი) . . . . .	3		

კურნალი გაფორმებულია მხატვ. ივ. ჯაფოშვილის მიერ; გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვ. ივ. ველხვაძეს.



ପ୍ରାଚୀକାଳିଶେଷବାହୀନୀ ଲୋକାଧିକାରୀ—୧. ମୁଖ୍ୟାଧିକାରୀ

ტირაჟი 14.700. ხელმოწ. დასაბ. 18/III 41 წ.

უმ 11485. ანაწყ. ზომა  $8\frac{1}{4} \times 12 = 75.200$

სასტამბო ფორმ. რაოდ. 2.

## საავტორო ფორმა 2.

სტ. შეკვეთა 300.

ლ. 3. ბ ე რ ი ა ს სახელმობრივ პოლიგრაფიული კომპინატი „კომპუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

1858

1950  
1950

၁၃၆၈ ၂၅၆.

